



საჩუქრადგაცემი წერილი





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ

24 სექტემბერი, 2019 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგეს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	3
1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	12
3. სხვა გარემოებები	12
4. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	15
საკონტაქტო ინფორმაცია	19

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

გარემოს დაცვის სამინისტრო – ყოფილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

გარემოს სააგენტო – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;

დაცული ტერიტორიების სააგენტო – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო;

ლაბორატორია – სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორია;

პროექტების მართვის სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;

სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;

სატყეო სააგენტო – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;

საშენი მეურნეობა – სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობა;

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სურსათის სააგენტო – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში საგრანტო პროექტის¹ ფარგლებში ავანსის სახით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 2018 წლის ბოლოსთვის წინა წელთან შედარებით გაზრდილია 145,529 ლარით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ზემოაღნიშნული დებიტორული დავალიანება უნდა გაზრდილიყო 347,701 ლარით. შესაბამისად, დაცული ტერიტორიების 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლი არასწორად არის შემცირებული 202,172 ლარით.

რეკომენდაცია N1.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს: სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.2 სასაქონლო მატერიალური მარაგები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორიისა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია ჯამურად 967,162 ლარის² ექსპლოატაციაში მყოფი ან გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალური მარაგები, რომლებიც აღრიცხვის ინსტრუქციის³ შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია საწყობებში 2018 წელს ხე-ტყის მოძრაობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ. სათანადო კონტროლის მექანიზმები აქტივების დაცვასა და განკარგვასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში არ არის დანერგილი. აღნიშნული წარმოშობს ხე-ტყის რესურსების არამიზნობრივად განკარგვისა და დანაკარგების რისკს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლში ნაშთად ასახული 1,456,743 ლარის მარაგების და ასევე 2018 წლის განმავლობაში 6,223,313 ლარის ხარჯებში ჩამოწერილი ხე-ტყის სიზუსტისა და სისრულის დადასტურება.

სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 119,688 ლარის ღირებულების უკანონოდ მოჭრილი და ჩამორთმეული ხე-ტყე, რომლის განკარგვის უფლება სატყეო სააგენტოს არ გააჩნია, ვინაიდან არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, აღნიშნული მარაგი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

რეკომენდაცია N2.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის, სსიპ – სურსათის ეროვნულ

იმისათვის, რომ სააგენტოებს ჰქონდეთ სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, მნიშვნელოვანია სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვა შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე საინვენტარიზაციო კომისიამ უნდა უზრუნველყოს საწყობიდან გაცემული და ექსპლოატაციაში მყოფი აქტივების იდენტიფიცირება და ხარჯად ჩამოწერა.

¹ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო.

² 855,594 ლარი – დაცული ტერიტორიების სააგენტო, 93,038 ლარი – ლაბორატორია, 18,530 ლარი – სურსათის სააგენტო.

³ 143-ე მუხლის 32-ე და 33-ე პუნქტები.

1.3 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგებების „ძირითადი აქტივების“ მუხლში ჯამურად ასახული 6,717,058 ლარის ნაშთის⁴ შესახებ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები.

გარემოს სააგენტოს ბალანსზე ასახულია 431,156 ლარის შენობა-ნაგებობები, რომლებიც საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით ეკუთვნის სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ასევე ქ. ბათუმში მდებარე 30,380 ლარის შენობა ფიზიკურად აღარ არსებობს. შესაბამისად, სააგენტოს ბალანსზე ასახული 461,536 ლარის შენობა-ნაგებობები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და არასწორად არის გაზრდილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული შენობა-ნაგებობების ჩამოსაწერად დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია N3:

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სააგენტოების ფინანსური ანგარიშგებები უტყუარად ასახავდეს ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდებულია შეფასდეს ის აქტივები, რომელთა ისტორიული ღირებულების შესახებ ინფორმაცია პირველად დოკუმენტაციაში არ არის მითითებული. ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საინვენტარიზაციო კომისიამ შეისწავლოს სააგენტოების ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების არსებობისა და საკუთრების უფლების საკითხები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პრობლემური ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2,831,291 ლარის⁵ ძირითადი აქტივები, რომლის განკარგვის უფლებამოსილება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მიკუთვნებული აქვს მუნიციპალიტეტებს.

რეკომენდაცია N4:

სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად ასახავდეს მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, მნიშვნელოვანია, შესაბამის მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით გაატარონ ქმედითი ღონისძიებები აქტივების გადაცემისა და ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით.

გამოვლენილი გარემოება: დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახულია 498,889 ლარის ღირებულების მიწა და 323,883 ლარის ღირებულების სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები. 498,889 ლარის ღირებულების მიწიდან, ასეთი აქტივის სახით აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ ქობულეთში მდებარე 55,196 ლარის ღირებულების აქტივები. მიწის

⁴ გარემოს ეროვნული სააგენტო – 1,816,078 ლარი; სურსათის ეროვნული სააგენტო – 105,094 ლარი; დაცული ტერიტორიების სააგენტო – 4,795,886 ლარი.

⁵ გარემოს ეროვნული სააგენტო – 1,818,045 ლარი; დაცული ტერიტორიების სააგენტო – 1,013,246 ლარი.

სახით აღრიცხული დანარჩენი 443,693 ლარის აქტივები კი, წარმოადგენს სააგენტოს მართვაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებულ სადემარკაციო და სხვა სახის სამუშაოებს, რაც თავის მხრივ, ხარჯებია და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. აგრეთვე სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ვერ დასტურდება 323,883 ლარის აქტივები აკმაყოფილებს თუ არა „დანარჩენი ბუნებრივი აქტივების მუხლში“ აღიარების კრიტერიუმებს.

ასევე სატყეო სააგენტომ განახორციელა ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელში მდებარე შენობის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 26,443 ლარი, რაც არ აღურიცხავს, როგორც აქტივი. შესაბამისად, 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 26,443 ლარით არასწორად არის შემცირებული ძირითადი აქტივის ღირებულება ფორმა N1-ში და ამავე თანხით არასწორად არის გაზრდილი საქონლისა და მომსახურების ხარჯი ფორმა N2-ში.

რეკომენდაცია N5:

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს და
სსიპ – ეროვნულ სატყეო
სააგენტოს

იმისათვის, რომ სააგენტოების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავდეს ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას და სააგენტოებს ჰქონდეთ სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული ძირითადი აქტივების და მათი ღირებულების შესახებ, აუცილებელია მოხდეს აქტივების იდენტიფიცირება, მათი გამიჯვნა აქტივებად და ხარჯებად და აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, მათი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

1.4 ფინანსური ოპერაციების არასწორი კლასიფიკაცია

გამოვლენილი გარემოება: რამდენიმე საბალანსო ერთეულის (სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო და ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო) ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლინდა ოპერაციების მუხლებს შორის კლასიფიკაციისა და დროში გამიჯვნის შეცდომები.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არასწორად არის წარდგენილი, კერძოდ:

- 1,796,955 ლარით⁶ არასწორად არის გაზრდილი ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი.
- 616,637 ლარით არასწორად არის შემცირებული „შემოსავლებისა და საქონლის“ და „მომსახურების“ მუხლები. ამავდროულად, ამავე თანხით არასწორადაა გაზრდილი გრანტის ხარჯი.⁷
- 2,602,962 ლარით⁸ არასწორად არის გაზრდილი „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი და 1,923,558 ლარით – „არასაოპერაციო ხარჯების“ მუხლი. ასევე 679,404 ლარით არასწორად არის შემცირებული ფორმა „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი.
- 242,331 ლარით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N4-ში „არასაოპერაციო ხარჯების“ მუხლი.⁹
- ძირითადი აქტივები და შემოსავალი არასწორად არის შემცირებული 489,977 ლარის ოდენობით.¹⁰

⁶ სურსათის ეროვნული სააგენტო – 1,796,955 ლარი.

⁷ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

⁸ პროექტების მართვის სააგენტო – 679,404 ლარი; გარემოს ეროვნული სააგენტო – 1,504,916 ლარი; ლაბორატორია – 418,642 ლარი.

⁹ პროექტების მართვის სააგენტო.

¹⁰ სურსათის ეროვნული სააგენტო.

- 2017 წელს უსასყიდლოდ გადმოცემული 87,197 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები ასახულია 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.¹¹
- მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით 166,222 კვ.მ, რაც საჯარო რეესტრის მონაცემებით დაცული ტერიტორიების სააგენტოს სარგებლობაშია, არ არის ასახული მის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ვანის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაცემული 11,862 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო კატეგორიის მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში საწყის ნაშთად და არც აღიარებულია გრანტის ხარჯად.
- ძირითადი აქტივების მუხლი და არასაოპერაციო შემოსავლები არასწორად არის გაზრდილი 100,809 ლარით,¹² ხოლო 25,062 ლარით არასწორად არის შემცირებული ძირითადი აქტივების ღირებულება.
- სატყეო სააგენტოს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, „სხვა ხარჯების“ მუხლში არასწორად არის აღიარებული 1,330,378 ლარის მერქნული რესურსების მოსაკრებელი.
- სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში 1,589,727 ლარით არასწორად არის გაზრდილი „სუბსიდიის ხარჯის მუხლი“ და ამავე თანხით არასწორად არის შემცირებული ფორმა N4-ის „წინა წლების შეცდომების გასწორების“ მუხლი.

რეკომენდაცია N6:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ცალკეული საბალანსო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, სამართლიანად და გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი შეცდომების დროულ აღმოჩენასა და შესწორებას, ასევე ბალანსის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად ასახვას.

1.5 სხვა შემოსავლები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის დეკემბრამდე რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხორციელდებოდა დამტკიცებული კვოტის¹³ შესაბამისად, თანაბარ ნაწილებად, წელიწადში ორჯერ, დეკემბერსა და ივნისში. 2018 წლის დეკემბერში სააგენტომ შეცვალა რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღიარების პრინციპი და დამტკიცებული კვოტის მიხედვით, სრულად აღიარა მთელი წლის გეგმის შესაბამისი რეგულირების საფასური 1,425,000 ლარის ოდენობით. შედეგად, 2018 წელს აღიარებულმა შემოსავალმა შეადგინა 1,987,500 ლარი, რაც აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,¹⁴ 562,500 ლარით აღემატება 2018 წელს მისაკუთვნებელ შემოსავლებს.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში შემოსავლის აღიარება ხორციელდება საკასო მეთოდით, აგრეთვე არ არის შემუშავებული მისაღები შემოსავლების სიზუსტისა და დროულად აღრიცხვის კონტროლის მექანიზმი. დაცული ტერიტორიების სააგენტო იჯარით გასცემს ტურისტულ ობიექტებს. ზოგიერთ შემთხვევაში, მოიჯარეების მიერ დროულად არ არის ან

¹¹ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

¹² ეროვნული სატყეო სააგენტო.

¹³ შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელი რეგულირების საფასურს იხდის გარემოს სააგენტოს უფროსის ბრძანებით თევზჭერის სეზონისთვის განსაზღვრული ყოველწლიური კვოტის მიხედვით.

¹⁴ მუხლი 1, პუნქტი 6 (IPSAS 9—Revenue from Exchange Transactions, პუნქტი 25).

არასრულყოფილად არის წარდგენილი საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები. ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში მოიჯარეები ხელშეკრულებების მიხედვით ვალდებულნი არიან სააგენტოს წარუდგინონ გადაცემულ ქონებაზე გაწეული საქმიანობით მიღებული ბრუნვის აუდიტორული შემოწმების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშები სააგენტომ ვერ წარმოადგინა.

შესაბამისად, სააგენტოს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია მოიჯარეების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, რაც ზრდის მისაღები შემოსავლების დაკარგვის რისკს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შექმნილია ინსპექტირების ჯგუფები, რომლებიც ამოწმებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას, თუმცა, აღნიშნული პროცესი წარმოადგენს გამოვლენითი ხასიათის კონტროლის ღონისძიებას და არა პრევენციულს. შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების ზუსტად და დროულად აღრიცხვის სათანადო კონტროლს.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებთან ერთად, შემოსავალს იღებს ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულების სარგებლობის უფლების გაცემიდან, რაც რეგულირდება მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესით. აღნიშნული წესის შესაბამისად, მოსარგებლე ვალდებულია სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში და გადაიხადოს სარგებლობის უფლების მინიჭების საფასური. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ტყის ფონდით სარგებლობის 3 უფლება, თუმცა შესაბამისი მოთხოვნა 75,744 ლარის ოდენობით არ არის აღიარებული. სააგენტოს არ განუხორციელებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები იმისათვის, რომ მოსარგებლებმა შეასრულონ ვალდებულებები. არსებობს რისკი იმისა, რომ შესაბამისმა სუბიექტებმა ისარგებლონ ტყის ფონდით, თანხის გადახდის გარეშე.

სატყეო სააგენტო ტყის მიწებს კავშირგაბმულობის ნაგებობების განთავსების მიზნით, მოიჯარეებზე გასცემს აუქციონის წესით, გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. რამდენიმე შემთხვევაში 2018 წელს და წინა პერიოდებზე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ გარკვეული პერიოდებით მოიჯარეები ტყის მიწებით ფაქტობრივად სარგებლობენ ხელახალი აუქციონის გამოცხადების და ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, რითაც სატყეო სააგენტომ დაკარგა მნიშვნელოვანი ოდენობის შემოსავლები. მხოლოდ 2018 წელს, სააგენტოსთვის მიეჯარეს 129,674 ლარით ნაკლები აქვს გადახდილი.

ამასთანავე, სააგენტოს არასწორად აქვს გამიჯნული შემოსავლები 2018 და 2019 წლებს შორის. 2018 წელს ნაცვლად 1,240,965 ლარის შემოსავლისა, აღიარებულია 1,560,673 ლარი. შესაბამისად, სხვა შემოსავლების მუხლი არასწორად არის გაზრდილი 319,708 ლარით.

რეკომენდაცია N7:

სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს და სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღიარების დროს იხელმძღვანელოს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დაცული ტერიტორიების და სატყეო სააგენტოებმა შემოსავლების აღრიცხვა განახორციელონ სრულად დარიცხვის მეთოდით. დანერგონ მისაღები შემოსავლების სიზუსტისა და დროულად აღრიცხვის კონტროლის მექანიზმები იმისათვის, რომ მინიმალურამდე შემცირდეს შემოსავლების დაკარგვის რისკი.

1.6 შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში არ ხორციელდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით¹⁵ დადგენილი საშემოსავლო გადასახადის დაკავება და სახსრების მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში. წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიხედვით, 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად, თანამშრომელთა სახელფასო ანგარიშებზე ჯამურად ჩაირიცხა 57,772 ლარი.

სააგენტოს განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების დაბრუნების მიზნით, დაწყებულია შესაბამისი პროცედურები და 2019 წლის 30 აგვისტოს მდგომარეობით, დაბრუნებულია 51,533 ლარი.

რეკომენდაცია N8:

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს

სააგენტოს ხელმძღვანელობამ დანერგოს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებელი ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები.

1.7 ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, ისეთ აქტივებზე, რომლებსაც ღირებულება გაეზარდათ მიმდინარე პერიოდში გადაფასების ან არსებითი გაუმჯობესების შედეგად, ცვეთას ითვლის ახლად მიღებული ღირებულებიდან ინსტრუქციით გათვალისწინებული წლიური ცვეთის ნორმების შეუცვლელად, რაც იწვევს აქტივების ყოველწლიური ცვეთის ხარჯის შემცირებას. ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნებს.¹⁶ შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 663,479 ლარით არასწორად არის შემცირებული ფორმა N2-ის „კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, ხოლო ამავე თანხით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლი.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულ, 3,552,574 ლარის ძირითად აქტივებს 2018 წელს ცვეთა დარიცხული არ აქვს, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.¹⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი, ხოლო ფორმა N2-ის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის შემცირებული.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 39,785 ლარის იარაღი,¹⁸ თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით¹⁹ იარაღის ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავე ინსტრუქციის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

¹⁷ მუხლი 143, პუნქტი 25.

¹⁸ ცეცხლსასროლი იარაღი.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 3.

რეკომენდაცია N9:

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს და
სსიპ – სურსათის ეროვნულ
სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, აუცილებელია სააგენტოებმა ძირითად აქტივებზე ფიზიკური ცვეთის დარიცხვა აწარმოონ მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრული ნორმების და მოთხოვნების შესაბამისად.

1.8 ბუღალტრული აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბუღალტრული აღრიცხვა არის არასრულყოფილი და უზუსტო. უმეტეს შემთხვევაში, საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები და მოგება-ზარალის ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს. ზემოაღნიშნულ სააგენტოებში არ გამოიყენება სპეციალიზებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები და აღრიცხვა წარმოებს MS Excel ფაილებში, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს.

რეკომენდაცია N10:

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს და
სსიპ – ეროვნულ სატყეო
სააგენტოს

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების და ბუღალტრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია, სრულყოფილად აწარმოონ ფინანსური აღრიცხვა სისტემატიზებული კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით.

1.9 კონსოლიდაციის პროცესი

გამოვლენილი გარემოება: სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში არასწორად არის გაზრდილი „გრანტის“ სახით მიღებული შემოსავალი – 3,574,323 ლარით, ხოლო „გრანტის“ სახით გაწეული ხარჯი – 3,325,965 ლარით. ასევე, არასწორად არის გაზრდილი „საქონელი და მომსახურების რეალიზაციის“ სახით მიღებული შემოსავალი – 272,594 ლარით, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ სახით გაწეული ხარჯი – 321,251 ლარით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 3,846,917 ლარი შემოსავლებიდან და 3,647,216 ლარი ხარჯებიდან – ელიმინირებული არ არის.

2009 წელს სამინისტრომ შპს „შავი ზღვის ტერმინალთან“ ერთად დააფუძნა ა(ა)იპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი. ფონდის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალის, ქობულეთის აღკვეთილის და კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა. ფონდის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ყველა დამფუძნებელი. შესაბამისად, ფონდი განიხილება, როგორც ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული ერთეული. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული უნდა იყოს ერთობლივი საწარმოს მფლობელობაში არსებული ინვესტიციები, რაც არ არის განხორციელებული.

რეკომენდაცია N11:

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, ანგარიშგების მომზადებისას, მოხდეს შიდა ჯგუფური ოპერაციების იდენტიფიცირება. სამინისტროს საბალანსო ერთეულებმა უზრუნველყონ განხორციელებულ ოპერაციებსა და ნაშთებზე ურთიერთშედარება, ხოლო ფინანსური ანგარიშგების

კონსოლიდაციას განხორციელდეს აღნიშნული ოპერაციების/ნაშთების ელიმინირება.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს ა(ა)იპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის მფლობელობაში არსებული ინვესტიციები.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 18,644,738 ლარის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები (წარმოშობილია 2004-2009 წლებში გაცემული სესხების შედეგად), რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის რეალურ ოდენობას.

რეკომენდაცია N12:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა უწყვეტ რეჟიმში განახორციელოს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ამოღების პროცესის მონიტორინგი. შესაბამისმა სამსახურებმა უმაღლეს ხელმძღვანელობას წარუდგინონ პერიოდული ანგარიში აღნიშნული მიმართულებით მიღწეული შედეგების შესახებ.

3. სხვა გარემოებები

3.1 სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი შემოსავლები

გამოვლენილი გარემოება: სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გარკვეული ტიპის²⁰ ხე-ტყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ზემოაღნიშნული ხე-ტყის შემსყიდველების მიერ ბიუჯეტში გადასახდელმა თანხამ 742,122 ლარი შეადგინა, ხოლო წარმოდგენილი სადეპოზიტო ამონაწერის მიხედვით ჩარიცხულმა თანხამ – 780,311 ლარი. აღნიშნული თანხები არ არის აღრიცხული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში და ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია არასამართლიანად.

რეკომენდაცია N13:
სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია სააგენტომ აწარმოოს ხე-ტყის შემსყიდველების მიერ ბიუჯეტში გადასახდელი და გადახდილი თანხების აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის ასახვა.

3.2 სამინისტროში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება

გამოვლენილი გარემოება: „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონი“ განსაზღვრავს სამინისტროში შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის წესსა და პრინციპებს. „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით²¹ „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ეტაპების გაწერა დროში თანხმდება დაწესებულებასა (მხარჯავ) და ფინანსთა სამინისტროს შორის“. ამავ დამდგენილებით, უწყება წლის დასრულებიდან მომდევნო წლის იანვრის

²⁰ ტყეკაფის შედეგად სააგენტოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემული ხე-ტყე (გარდა საშუალო მერქნული რესურსისა).

²¹ 2017 წლის 21 მარტის №133 დადგენილება.

ბოლომდე ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიურ ანგარიშს.

რეკომენდაცია N14:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად და ასევე შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, სამინისტროს მიერ:

- მომზადდეს შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის გეგმა და წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს შესათანხმებლად;
- ყოველწლიურად აღნიშნული გეგმის შესრულების შესახებ ანგარიში მომზადდეს და წარედგინოს ფინანსთა სამინისტროს.

3.3 ინვენტარიზაცია

გამოვლენილი გარემოება: ინვენტარიზაცია წარმოადგენს პრევენციული ხასიათის კონტროლის მექანიზმს, რომელის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული/გამოუსადეგარი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია აქტივების არსებობისა და სისრულის უზრუნველსაყოფად.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ დაუსრულებია ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების 2018 წლის ინვენტარიზაცია. კერძოდ, არ არის საინვენტარიზაციო კომისიის შემადგამელი სხდომის ოქმი შედეგების შესახებ.

ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინვენტარიზაციის დადგენილ ვადებში ჩატარებას ვერ უზრუნველყოფს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო. ინვენტარიზაციის შედეგების არარსებობის გამო შეუძლებელია სატყეო სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული აქტივების ფაქტობრივი არსებობისა და მდგომარეობის დადასტურება.

სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორიისა და სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებული არ არის საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები. აღნიშნულით, ორივე შემთხვევაში, დარღვეულია „ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის²² მოთხოვნები.

რეკომენდაცია N15:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ ორგანიზაციებს

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ასევე ფინანსურ ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

3.4 სააღრიცხვო პოლიტიკა

გამოვლენილი გარემოება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატში შემუშავებული იქნა და დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით²³ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. საბალანსო ერთეულებში მიმდინარეობს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით. სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით გამოწვეულია სხვადასხვა საბალანსო ერთეულებში რიც

²² ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის ბრძანება N605 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 10.

²³ მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი.

შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდების/პრინციპების არსებობა.

რეკომენდაცია N16:

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესადარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა, რომლის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

4. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეიმუშაონ კონტროლის ისეთი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს:

- სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N2:
სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N3:
სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხედრის შესახებ, მნიშვნელოვანია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს საწყობიდან გაცემული და ექსპლოატაციაში მყოფი აქტივების იდენტიფიცირება და ხარჯად ჩამოწერა.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებული

რეკომენდაცია N4:
სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავდეს ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდებულია მოხდეს იმ აქტივების შეფასება, რომელთა ისტორიული ღირებულების შესახებ ინფორმაცია პირველად დოკუმენტაციაში არ არის მითითებული.

შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ შესრულებული

რეკომენდაცია N5:
სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საინვენტარიზაციო კომისიამ შეისწავლოს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების არსებობისა და საკუთრების უფლების საკითხები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პრობლემური ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ შესრულებული

რეკომენდაცია N6: სსიპ –
სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

იმისათვის, რომ სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ, მნიშვნელოვანია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობებზე კაპიტალიზებული მანქანა-დანადგარების აღწერა, რის შემდეგაც განხორციელდება იმ მანქანა-დანადგარების იდენტიფიცირება, რომლებიც ცალკე აქტივად აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია, აღნიშნული შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების შეფასება და შესაბამისი კლასიფიკაციით წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებელი

რეკომენდაცია N7:
სსიპ – გარემოს ეროვნულ
სააგენტოსა და სსიპ –
დაცული ტერიტორიების
სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად ასახავდეს მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, მნიშვნელოვანია, შესაბამის მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით გაატარონ ქმედითი ღონისძიებები აქტივების გადაცემისა და ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებელი

რეკომენდაცია N8:
საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ცალკეული საბალანსო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, სამართლიანად და გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი შეცდომების დროულ აღმოჩენასა და შესწორებას, ასევე ბალანსის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად ასახვას.

შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ შესრულებელი

რეკომენდაცია N9:
სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ სრულად მიიღოს და დარიცხვის მეთოდით აღრიცხოს გამომუშავებული შემოსავალი, მნიშვნელოვანია, დაიცვას იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმი, საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერების სააგენტოში ყოველთვიურად წარდგენის შესახებ.

შესრულების მდგომარეობა:
ნაწილობრივ შესრულებელი

რეკომენდაცია N10:
საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს
აპარატს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა“ უწყვეტ რეჟიმში განახორციელოს ვადაგადაცდილებული დებიტორული დავალიანებების ამოღების პროცესის მონიტორინგი. შესაბამისმა სამსახურებმა უმაღლეს ხელმძღვანელობას წარუდგინონ პერიოდული ანგარიში აღნიშნული მიმართულებით მიღწეული შედეგების შესახებ.

შესრულების მდგომარეობა:
შესრულებელი

რეკომენდაცია N11:

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს

იმ შემთხვევაში თუ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო ვერ ახორციელებს ქონებისა და საქმიანობის იმ ნაწილის გამოჯვანას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით, გამოიყენოს ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის მეთოდი. აგრეთვე ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აღრიცხოს მოგების დეკლარაციის მიხედვით, ფორმა N4-ში კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშში.

შესრულების მდგომარეობა:

შესრულებელი**რეკომენდაცია N12:**

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესადარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

შესრულების მდგომარეობა:

ნაწილობრივ შესრულებელი**რეკომენდაცია N13:**

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ურთიერთშედარების აქტების გაფორმება, მათი რეალობის, ხანდაზმულობისა და დაფარვის ალბათობის შესწავლა, ასევე შესაბამისი ქმედების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

შესრულების მდგომარეობა:

შესრულებელი**რეკომენდაცია N14:**

სსიპ – დაცული
ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს გააჩნდეს შემოსავლების სახეების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია, მნიშვნელოვანია შეიმუშაოს შემოსავლების აღრიცხვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლების აღრიცხვას სახეების მიხედვით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულმა ერთეულებმა აწარმოონ და გარკვეული პერიოდულობით წარადგინონ გაყიდული ბილეთების სტატისტიკური ინფორმაცია.

შესრულების მდგომარეობა:

ნაწილობრივ შესრულებელი**რეკომენდაცია N15:**

სსიპ –
ეროვნულ სატყეო სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავდეს შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მისაღები შემოსავლების ოდენობის ზუსტად განსაზღვრას და დარიცხვის მეთოდით აღიარებას.

შესრულების მდგომარეობა:

ნაწილობრივ შესრულებელი

რეკომენდაცია N16:

საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში არსებულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სამეურნეო ოპერაციების უწყვეტი და დროული ბუღალტრული აღრიცხვა.

შესრულების მდგომარეობა:

ნაწილობრივ შესრულებული

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38